პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 174 (9334)

ხუთშაბათი

24

ივლისი

1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

საბჭოთა ეკონომიკა იზრდება და წარმატებებს აღწევს — „პრავდის“ 23-VII მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის მეორე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (1-ლი გვერდი).

ფართოდ გავაგრცელოთ მოსავლის აღების მოწინავეთა გამოცდილება (მე-2 გვერდი).

ლ. ებანოიძე — ხალხთა სტალინური მეგობრობა სსრ კავშირის ძალისა და ძლიერების წყაროა (მე-2 გვერდი).

ბოლო მოვუღოთ წუნს მუშაობაში, მივცეთ მომხმარებელს მაღალი ხარისხის ტანსაცმელი (მე-3 გვერდი).

ჟუთაისის საავტომობილო ქარხნის საამქროებში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

# საბჭოთა ეკონომიკა იზრდება და წარმატებებს აღწევს

„პრავდის“ 23/VII მოწინავე

ჩვენი სამშობლოს ხალხები მტკიცე რწმენით მიდიან კომუნიზმის გზით. ეწევიან რა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა ადამიანები ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, საყოველთაო კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის II კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ეს ცნობა მოწმობს ახალ დიდ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, საქონელბრუნვის გაჩაღებაში.

სოციალისტურმა მრეწველობამ, რომელიც ჩვენი სახალხო მეურნეობის წამყვანი ძალაა, მეორე კვარტალში ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. **სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1952 წლის მეორე კვარტალში 1951 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა. საერთო პროდუქციის წარმოების კვარტალური გეგმა შესრულებულია მთლიანად მრეწველობაში 102 პროცენტით.** როგორც ცნობილია, პირველი კვარტალის გეგმაც გადაჭარბებით იყო შესრულებული.

ამრიგად, მთლიანად მრეწველობამ წარმატებით შეასრულა 1952 წლის პირველი ნახევრის პროგრამა.

ომისშემდგომ წლებში მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა სერიოზულად გამდიდრდნენ უახლესი ტექნიკით, მნიშვნელოვნად შეივსნენ მაღალკვალიფიციური კადრებით. ამას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშობა აჰყავს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა ადამიანებს წარმატებით გადაწყვიტონ ყველაზე რთული ამოცანები, გაადიდონ პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესონ ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება, განუწყვეტლივ გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

ჩვენს მრეწველობაში საერთო პროდუქციის ზრდის მეტი ნაწილი მიღწეულია, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებით. 1952 წლის მეორე კვარტალში 1951 წლის მეორე კვარტალთან შედარებით **მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ექვსი პროცენტით გადიდდა. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება, რაც დაწესებული იყო მეორე კვარტალისათვის, გადამეტებით არის შესრულებული.**

მეორე კვარტალში სერიოზული წარმატება მოიპოვეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, საბჭოთა მეურნეობებმა მოკლე ვადაში და უფრო მაღალი აგროტექნიკური დონით შეასრულეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. **საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადაჭარბებით შესრულდა. 1952 წელს შარშანდელთან შედარებით გადიდდა ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის ნათესი ფართობი.** გადიდდა აგრეთვე ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების ნათესი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მრავალწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების ნათესი.

ბევრი რესპუბლიკიდან, მხარიდან და ოლქიდან მოდის ცნობები, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. ჩვენი ქვეყნის მინდვრებში ჩაღდება ბრძოლა მოსავლის აღების საინიმუშოდ დამთავრებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გრძელდებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდა. 1952 წლის მეორე კვარტალის დამლევისათვის გადიდდა პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში.

წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების საფუძველია. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს საქონელბრუნვის ზრდის ციფრები. 1952 წლის 1 აპრილიდან საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით განხორციელებულმა მასობრივი მოხმარების სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალმა—სათვალავით მეხუთე—შემცირებამ გამოიწვია საქონლის გაყიდვის მნიშვნელოვანი გადიდება სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში. მეორე კვარტალში **სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ბაზით მოსახლეობას მიეყიდა 11 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე გასული წლის მეორე კვარტალში.**

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში სახალხო მეურნეობის აღმავლობა კვლავ მკაფიოდ ადასტურებს მეურნეობის სოციალისტური სისტემის გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე. განუწყვეტელი წინსვლა დამახასიათებელი თავისებურებაა საბჭოთა ეკონომიკისა, რომელიც იზრდება და წარმატებებს აღწევს, ვითარდება უმაგალითო სწრაფი ტემპით. კომუნისტური მშენებლობის გეგმები ადაფრთოვანებენ და რაზმავენ მილიონობით საბჭოთა ადამიანს ახალი და ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

„...**საწარმოო გეგმა,** — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **არის მრავალი მილიონი ადამიანის ცოცხალი და პრაქტიკული მუშაობა. ჩვენი საწარმოო გეგმის რეალობა—ეს მილიონობით მშრომელია, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან. ჩვენი პროგრამის რეალობა —ეს ცოცხალი ადამიანებია, ეს თვითონ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ჩვენი ნებისყოფა შრომისადმი, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად, ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაში**“.

გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის მძლავრმა ძალამ განსაკუთრებით იჩინა თავი საბჭოთა ეკონომიკის განუხრელი აღმავლობით, ვოლგაზე, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობით.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დამთავრდა ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგება. განხორციელდა ჩვენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება—ვოლგის წყალი შეუერთდა დონის წყალს. უდიდესი სიხარულითა და სიამაყით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის შესახებ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას არხისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ. ოთხი დღის შემდეგ — 1952 წლის 27 ივლისს — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი მწყობრში ჩადგება.

სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომით საბჭოთა ადამიანები შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევენ მშვიდობიან მშენებლობაში. პატრიოტული წერილები ამხანაგ სტალინისადმი საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ახალი ვალდებულებებით მოწმობენ მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობას. მილიონობით საბჭოთა ადამიანი, გამსჭვალული მხურვალე პატრიოტული გრძნობებით, ცდილობს წარმატებით დაამთავროს წლის დაწყებული მეორე ნახევრის პროგრამა, ვადამდე შეასრულოს 1952 წლის სახელმწიფო გეგმა.

კომუნისტური პარტია ჩვენს ხალხს ზრდის განუხრელი წინსვლის სულისკვეთებით. საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა თვითდამშვიდება და უზრუნველობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, გამოუყენებელია მნიშვნელოვანი შიდარეზერვები. საწარმოთა ნაწილი და მრეწველობის ცალკეული დარგებიც კი ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გეგმა ვერ შეასრულეს მძიმე, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, სატყეო, თევზის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებმა. ზოგიერთმა საწარმომ საერთო პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალება შეასრულა, მაგრამ ვერ შეასრულა დაწესებული ასორტიმენტითა და ნომენკლატურით ნაკეთობათა გამოშვების დავალება.

სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ ჩვენში არ იყოს ჩამორჩენილი საწარმოები, რომ ყველა ჩვენი ქარხანა და ფაბრიკა, შახტი და სარეწი სისტემატურად, ყოველ თვეს, ყოველ კვარტალში ასრულებდეს გეგმებს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გააჩაღონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დარაზმონ მშრომელთა ძალები ახალი წარმატებების მოპოვებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

**სახელმწიფო გეგმა კანონია. გეგმის შესრულება თვითეული მშრომელის უპირველესი მოვალეობა და ღირსების საქმეა.** საჭიროა გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი, გადაჭრით აღმოვფხვრათ ფორმალიზმის ელემენტები ამ საქმეში, მივაღწიოთ შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების განუხრელ გადიდებას. უნდა ავამოქმედოთ მთელი შიდარეზერვები, სანმუშოდ გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკა, რომლითაც აღჭურვილია ჩვენი სახალხო მეურნეობა!

საბჭოთა კავშირი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის გზაზეა. სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ჩვენი ხალხის ყოველი ახალი წარმატება წვლილია მშვიდობის საქმეში, შთამაგონებელი მაგალითია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებისათვის, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებენ. უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, კომუნიზმის მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისათვის!

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის მეორე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და საქონელბრუნვის გაშლა 1952 წლის II კვარტალში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

### I.

### წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

**საერთო პროდუქციის** წარმოების კვარტალური გეგმა შესრულებულია მთლიანად მრეწველობაში 102 პროცენტით. ცალკე სამინისტროებმა მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულეს შემდეგნაირად:

| | 1952 წლის II კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი |
|---|---|
| შავი მეტალურგიის სამინისტრო | 103 |
| ფერადი მეტალურგიის სამინისტრო | 104 |
| ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო | 100,8 |
| ნავთის მრეწველობის სამინისტრო | 103 |
| ელექტროსადგურების სამინისტრო | 100,9 |
| ქიმიური მრეწველობის სამინისტრო | 102 |
| ელექტრომრეწველობის სამინისტრო | 104 |
| კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო | 101 |
| მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 99,9 |
| საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო | 102 |
| ჩარხმშენებლობის სამინისტრო | 102 |
| მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო | 100,3 |
| სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 105 |
| სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 96 |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 96 |
| სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო | 100 |
| სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო | 92 |
| ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო | 104 |
| სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო | 102 |
| სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო | 97 |
| სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო | 94 |
| სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო | 105 |
| სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები | 102 |
| გზათა სამინისტროს სამრეწველო საწარმოები | 102 |
| სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები | 104 |
| სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები | 104 |
| მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები და ადგილობრივი სათბობი მრეწველობის სამინისტროები | 104 |
| სარეწაო კოოპერაცია | 103 |

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1952 წლის II კვარტალში 1951 წლის II კვარტალთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა.

მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1952 წლის II კვარტალში 1951 წლის II კვარტალთან შედარებით 6 პროცენტით გადიდდა.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება, რაც დაწესებული იყო 1952 წლის II კვარტალისათვის, შესრულებულია გადამეტებით.

### II.

### სოფლის მეურნეობა

კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკლე ვადებში და უფრო მაღალი აგრონომიული დონით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის სამუშაოები. საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადაჭარბებით შესრულდა.

1952 წელს შარშანდელთან შედარებით გადიდდა ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურის—ხორბლის ნათესი ფართობი. გადიდდა აგრეთვე ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების ნათესი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა 1952 წელს მრავალწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების ნათესი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გრძელდებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდა. პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში 1952 წლის II კვარტალის ბოლოს 1951 წლის II კვარტალის ბოლოს არსებულ სულადობასთან შედარებით გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—8 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—14 პროცენტით; ღორის სულადობა—17 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—10 პროცენტით, ცხენისა—7 პროცენტით. მოზრდილი ფრინველის რაოდენობა კოლმეურნეობებში 28 პროცენტით გადიდდა. პირუტყვის სულადობა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში ამავე პერიოდში გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—8 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—9 პროცენტით; ღორის სულადობა—14 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—12 პროცენტით, ცხენისა—12 პროცენტით. ფრინველის სულადობა საბჭოთა მეურნეობებში 9 პროცენტით გადიდდა.

### III.

### საქონელბრუნვის გაშლა

1952 წლის II კვარტალში გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლა.

1952 წლის 1 აპრილიდან საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით განხორციელებულმა მასობრივი მოხმარების სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალმა—სათვალავით მეხუთე—შემცირებამ გამოიწვია სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში საქონლის გაყიდვის მნიშვნელოვანი გადიდება.

II კვარტალში **სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის** ბაზით მოსახლეობას მიეყიდა 11 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1951 წლის II კვარტალში. ამასთან ცალკეული საქონლის გაყიდვა გადიდდა შემდეგნაირად: ხორცისა და თევზის პროდუქტებისა—8 პროცენტით, ერბო-კარაქისა და სხვა ცხიმებისა—22 პროცენტით, ყველისა—41 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა—7 პროცენტით, შაქრისა — 28 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა—24 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა—32 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა—4 პროცენტით, სატრიკოტაჟო ნაწარმისა—10 პროცენტით, წინდის ნაწარმისა—16 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა—16 პროცენტით, ველოსიპედებისა—77 პროცენტით, რადიომიმღებებისა—33 პროცენტით, საათებისა — 18 პროცენტით, საკერავი მანქანებისა — 34 პროცენტით, ფოტოაპარატებისა—31 პროცენტით.

1952 წლის II კვარტალში 1951 წლის II კვარტალთან შედარებით აგრეთვე გადიდდა მოსახლეობისათვის ფქვილის, ხორცის, ფრინველის, კვერცხისა და თაფლის მიყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

## ვილნიუსში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი

**ვილნიუსი,** 20 ივლისი. (საკდესი). დღეს, საბჭოთა ლიტვის 12 წლისთავის დღეს, აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ათეულ ათასობით მშრომელი შეიკრიბა ვილნიუსის ცენტრალურ მოედანზე, რომელსაც გუშინ ლენინის სახელი უწოდეს, და მის ახლომახლო ქუჩებზე.

შუადღის 12 საათია. ტრიბუნაზე ადიან ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ლიტვის სსრ მთავრობის წევრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები.

ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი დაიწყო ვილნიუსის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პ. კარეცკასის სიტყვით. მან ვილნიუსის საქალაქო საბჭოს და პარტიის საქალაქო კომიტეტის სახელით გახსნა მშრომელთა დიდი ბელადის ძეგლი.

გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნისა და ლიტვის სსრ ჰიმნის ხმები. მონუმენტს ხსნიან საბურველს, და შეკრებილნი ხედავენ ვ. ი. ლენინის ბრინჯაოს ფიგურას, რომელიც აღმართულია წითელი გრანიტის კვარცხლბეკზე.

მოედანზე ქუხს ოვაცია კაცობრობის დიდი გენიოსის პატივსაცემად.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. სნეჩკუსმა, ვილნიუსის ელექტროტექნიკური ქარხნის სტახანოველმა ი. მურაუსკასმა და სხვებმა. მიტინგი დამთავრდა. ძეგლისაკენ აუარებელი ხალხი გაემართა.

## ამხანაგ ი. ბ. სტალინის მონუმენტური სკულპტურული პორტრეტის გახსნა კოხტლა-იარვეში

**კოხტლა-იარვე (ესტონეთის სსრ),** 21 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ, ესტონეთის ფიქალის აუზის ცენტრში, ზეიმით გახსნეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მონუმენტური სკულპტურული პორტრეტი. მიტინგს დაესწრო ქალაქის, აგრეთვე იიხვისა და კოვიილის რაიონების 20 ათასი მშრომელი.

ესტონელ მეფიქალეთა სახელით მიტინგზე გამოსულმა მშრომელებმა პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს აღუთქვეს, რომ მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეს.

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

## მაღლობა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული, კომუნიზმის დიად მშენებლობათა ხელშეწყობი კომიტეტის თავმჯდომარის — აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის სახელზე მიღებულია თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის უფროსის, ელექტროსადგურთა მესამე რანგის დირექტორის ს. კალიჟნიუკის წერილი.

— საქართველოს მეცნიერები,—ნათქვამია ამ წერილში, — პირველნი გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის შესახებ. მათ თავიანთი ინიციატივით შემოგვთავაზეს ეს დახმარება ყველა იმ საკითხის გადასაჭრელად, რომლებიც განსაკუთრებით გვახარებდა მშენებლებსაც და დამპროექტებლებსაც.

გთხოვთ თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთა მთელი კოლექტივის სახელით გადასცეთ ჩვენი მადლობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, პირადად აკადემიის ნამდვილ წევრს კ. ზავრიევს, ნაგებობათა და ჰიდროტექნიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს გ. ჯიმშელეიშვილს, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექტორს მ. კობახიძეს, პროფესორ ი. შტაერმანს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატებს ზ. ნილოსანს, პ. წულუკიძეს და ყველა იმ მეცნიერ მუშაკს, ინჟინერსა და ტექნიკოსს, რომლებიც მონაწილეობდნენ თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის პრობლემათა დამუშავებაში.

გთხოვთ აგრეთვე გადასცეთ ჩვენი მადლობა საქართველოს ინჟინერ-მშენებელთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმს ტექნიკური ლიტერატურისა და ინჟინერ ვ. შენგელიას მიერ დამუშავებული „ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენთა ასაწყობი საფუძვლების“ ტექნიკურ-მეცნიერული გაანგარიშების გამოგზავნისათვის.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლები დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მეცნიერები და ინჟინერ-ტექნიკოსები შემდგომშიაც არ მოგვაკლებენ დახმარებას.

## თბომავალ „იოსებ სტალინის“ რეისი

**ჩებოქსარი,** 22 ივლისი. (საკდესი). დღეს დილა-ადრიანად თბომავალი „იოსებ სტალინი“ ჩებოქსარში მოვიდა. ათასობით მშრომელი გამოვიდა ვოლგა-დონის არხის საზეიმო გახსნაზე მიმავალი სტუმრებისა და გემის ეკიპაჟის მისასალმებლად.

მიტინგის შემდეგ თბომავალი ყაზანისაკენ გაემართა.

**ყაზანი,** 22 ივლისი. (საკდესი). დღეს 9 საათსა და 45 წუთზე ყაზანის ნავსადგურს მოადგა თბომავალი „იოსებ სტალინი“, რომელიც ვოლგა-დონისაკენ მიდის. მოსახლეობა გულთბილად შეხვდა მოსკოველებს. გაჩერების შემდეგ ხომალდი ულიანოვსკს წავიდა.

## შესრულებულია ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

**ზაქათალა,** (აზერბაიჯანის სსრ), 22 ივლისი. (საკდესი). დღეს ზაქათალის რაიონის მეჩაიეებმა აზერბაიჯანში პირველებმა ვადამდე შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა ორნახევარჯერ მეტი ფოთოლი, ვიდრე გასულ წელს. ჩაბარებული ჩაის ფოთლის 88 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ზაქათალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ უკვე ორზე მეტი წლიური გეგმა შეასრულა. ჩაის კრეფა გრძელდება.

# ფართოდ გავავრცელოთ მოსავლის აღების მოწინავეთა გამოცდილება

★

## ელდარის პური

**წითელწყაროს. (საკ. კორ.).** მეცხვარეობასთან ერთად ელდარის საბჭოთა მეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა მემინდვრეობას. აქ წელს 6.300 ჰექტარზე მოიყვანეს პურეულის უხვი მოსავალი. მემინდვრეობის ბრიგადას, რომელსაც გიორგი ბარნაბიშვილი ხელმძღვანელობს, მოსავლის დიდი ნაწილი აღებული აქვს, ბევრგან ჰექტარზე 25 ცენტნერ პურს იღებენ. კარგი წარმატებაა მეორე ბრიგადაში, რომელსაც გაბრიელ ზურაბიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 27,7 ცენტნერი მოსავალი.

ხორბლის აღებაზე მაღალნაყოფიერად მუშაობს მეურნეობის 17 კომბაინი, რომლებიც დღიურ ნორმას აჭარბებენ. მოწინავე კომბაინერი მიხეილ ჩერნომუროვი კომბაინ „სტალინეც-6"-ით დღეში 13-16 ჰექტარზე იღებს პურს. მას უკვე მომკილი აქვს 200-ზე მეტი ჰექტარი.

20 ავტომანქანა მუშაობს კომბაინებიდან ხორბლის ზიდვაზე. ავტომძღოლები: ვლადიმერ ჩიქობავა, დიმიტრი ალადაშვილი და მიხეილ ბენაშვილი ბეჯითი შრომით ხელს უწყობენ მოსავლის აღების დაჩქარებას.

მკასთან ერთად საბჭოთა მეურნეობის მუშაკები დიდ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. ყოველდღიურად წნორის მიღებ პუნქტში 120 ტონაზე მეტი ხორბალი მიაქვთ.

## ღენვა ჭიანურიდება

**ხაშური. (საკ. კორ.).** კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მექანიზატორები ერთი აზრით არიან გამსჭვალულნი — დროულად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი. გომის მტს-ის კომბაინერი შ. მოსიაშვილი დღეში 21-22 ჰექტარ პურს იღებს. მან უკვე მომკა 100 ჰექტარი. კარგად მუშაობენ კომბაინერები დ. ნოზაძე და ვ. გულარაძე.

არის ნაკლოვანებანიც. მაგალითად: სოფელ ვაყის კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. ერთი კვირაა მოსავალს იღებენ, მაგრამ ლეწვა ჯერ არ დაუწყიათ. სათანადო ყურადღება არ ექცევა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. თავთავების აკრეფაზე ნაკლებად გამოჰყავთ მუშახელი. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობაში გაწმენდილი და გამზადებულია 500 ცენტნერამდე პური, მისი ჩაბარება სახელმწიფოსათვის ჯერ არ დაუწყიათ.

სოფელ ქვემო ოსიაურის კოლმეურნეობაში აჭიანურებენ კალების მოწყობასა და პურის ლეწვას. სუსტად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. დაბრუნდაშვილი და პარტორგანიზაციის მდივანი ს. მეტივიშვილი რატომღაც ურიგდებიან ამ მდგომარეობას.

## კოლმეურნეთა აქეზიური შრომა

**ყვარელი. (საკ. კორ.).** სოფელ გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ბეჯითი შრომაა გაჩაღებული. კაციოთ ქალი, დიდი თუ პატარა ალაზნის ველზეა გასული. პურის მკაზე მუშაობენ ყვარლის მტს-ის მექანიზატორები.

მოსავლის აღებაზე ყოველდღიურად აქ 600-ზე მეტი კოლმეურნე გამოდის. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა იოსებ იმედაშვილის მემინდვრეობის ბრიგადა. მან პირველმა დაამთავრა მოსავლის აღება, 135 ჰექტარი ორ კვირაში მომკა.

გავაზელები სახელმწიფოს კარგი ხარისხის ხორბალს აბარებენ. პირველი ას ოცი ტონა ხორბალი „ზაგოტზერნოს" მუკუზნის პუნქტში მიიტანეს. ამავე დროს კოლმეურნეები შემოდგომისათვის თესლს იმარაგებენ. მათ 60 ტონა ხორბალი სათეს კონდიციაზე აიყვანეს და საწყობში შეინახეს, კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. თ. ბუჯიაშვილი) სულ 240 ტონა თესლს ამზადებს.

გავაზელ კოლმეურნეთა ბეღლები ხორბლით ივსება.

## აღებულია 98.502 ჰექტარი პურეული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით, კოლმეურნეობებში 20 ივლისისათვის აღებული იყო 98.502 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეულის კულტურების მოსავალი, რესპუბლიკური გეგმის 22,7 პროცენტი.

თბილისის ოლქში აღებულია 93.682 ჰექტარი პურეული (24,2%), ქუთაისის ოლქში — 4.671 (19,3%), აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 132 (31%), აჭარის ასს რესპუბლიკაში — 10 ჰექტარი (2,9%). მოსავლის აღება დაწყებულია აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.



**ვანის რაიონი.** კომბაინერი ლ. ხონელიძე კომბაინ „სტალინეც-6"-ით იღებს პურს სოფელ შუამთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ი. საკუნისა.

## როგორ მუშაობენ ახმეტელი მექანიზატორები

ალაზნისა და ილტოს ველების ყანებში განუწყვეტლივ გუგუნებენ კომბაინები. აგრეგატთა მეთაურები ხშირად მოუხმობენ ავტომანქანების მძღოლებს ხორბლის წასაღებად.

ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მოწინავე კომბაინერთა შორის ყველაზე წინ მიდის სოლომონ რამაზაშვილი, რომელიც კომბაინ „სტალინეც-6"-ს მართავს. მან ყვარლის მტს-ის კომბაინერ გ. ხუციშვილთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას 600 ჰექტარის მომკა იკისრა. რამაზაშვილმა 10 დღეში 200 ჰექტარზე აიღო მოსავალი. მარტო ერთ დღეს, 20 ივლისს, 25 ჰექტარი მომკა. რამაზაშვილის აგრეგატზე გარდამავალი წითელი დროშა ფრიალებს.

რით აღწევს წარმატებას რამაზაშვილი და მისი აგრეგატი?— იგი კომბაინს საათობრივი გრაფიკით ამუშავებს. საქცევის ყოველი შემოვლის შემდეგ ფაქტიურად დახარჯული დროისა და გრაფიკში ნაჩვენები დროის შედარებამ შესაძლებლობა მისცა მექანიზატორს კონტროლი გაეწია მუშაობის ტემპისათვის, ჩამორჩენის შემთხვევაში მკა დაეჩქარებინა.

რ. რამაზაშვილი მუშაობას დილის 5 საათზე იწყებს. სანამ ყანა ნამიანია, მანქანას წმენდს და აწესრიგებს. კომბაინის ტექნიკურ მოვლაზე რამაზაშვილი აგრეგატის დამხმარე კოლმეურნეებსაც იყენებს.

კომბაინის პურით სავსე ბუნკერის დაცლას რამაზაშვილი მუშაობის შეუჩერებლად სვლის დროს აწყობს. ტრანსპორტს რომ არ დაეგვიანდეს, წინასწარ საყვირით აძლევს სიგნალს. ამ საშუალებით მოწინავე კომბაინერი დღეში 2-3 საათი დროის ეკონომიას აკეთებს.

მოწინავეა აგრეთვე კომბაინერი ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, რომელიც მოსავალს „სტალინეც-6"-ით იღებს. მას კომბაინზე მუშაობის 15 წლის სტაჟი აქვს. წელს მან პირველად ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 50 ჰექტარი ყანა მოუმკა. ახლა კი სოფელ მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. იგი ყოველდღიურად 15-17 ჰექტარსა მკის. 19 ივლისს მოსავალი 20 ჰექტარზე აიღო. ნახუცრიშვილი დიდ ყურადღებას აქცევს მოსავლის აღების სამუშაოთა ხარისხს. ნახუცრიშვილის აგრეგატის შრომის მაღალ ნაყოფიერებას ხელს უწყობენ მეშტურვალე ა. მექვაბაური და ტრაქტორისტი გიორგი კაციაშვილი.

სოფელ ქვემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ნიკოლოზ უთურგაიძე „კომუნარს" ამუშავებს. მიუხედავად იმისა, რომ პური ჩაწოლილია და ადგილ-ადგილ ბალახიც მოერია, დღეში 12-14 ჰექტარსა მკის, გეგმა კი 8 ჰექტარს ითვალისწინებს.

გამოცდილი და შრომისმოყვარე კომბაინერია არჩილ ნადირაძე, რომელიც ახმეტის კოლმეურნეობა „პირველ მაისში" მუშაობს, ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს. ახმეტის მტს-ში მოწინავენი არიან აგრეთვე ბესარიონ ნახუცრიშვილი, შალვა ბლიაძე, გაბრიელ მამუკელაშვილი.

მოწინავე კომბაინერთა გამოცდილება ფართოდ უნდა გავრცელდეს.

**ს. ქოჩლაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი

დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. გოლეთიანი) 8 კომბაინი იღებს მოსავალს. შეუფერხებლად მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება, ყოველდღიურად სულ ცოტა 75-80 ტონა მაღალხარისხოვან მარცვლეულს აბარებენ. დიდ მონდომებას იჩენენ ავტომძღოლები ა. ყიფშიძე, ბ. სხირტლაძე, ნ. რეხვიაშვილი, ლ. გამყრელიძე, დ. ფრუიძე.

კომბაინერები თ. გოგოლაძე და ნ. ქრისტესიაშვილი ყოველდღიურად 20-22 ჰექტარზე იღებენ პურეულს. მათ კარგად ეხმარებიან მეშტურვალეები მ. სუხიაშვილი და ო. ხმალაძე, ტრაქტორისტები ქ. და კ. ქიარუმოვები.

ასევე გადაჭარბებით ასრულებენ მკის ნორმებს კომბაინერები ა. ბეჟანიშვილი და ი. დებროვსკი. არიან ჩამორჩენილებიც: გ. აქულაშვილის და რ. ამიროვის კომბაინები ხშირად ჩერდება. მათი მანქანები ცუდად შეაკეთეს, მტს-მა სათადარიგო ნაწილებითაც ვერ უზრუნველყო.

ათ დღეზე მეტია კოლმეურნეობაში მოსავლის აღება მიმდინარეობს, მაგრამ მინდვრად კოლმეურნეებთან და კომბაინების აგრეგატებზე მომუშავეებისათვის ერთხელაც არ გაუმართავთ საუბარი, არ ეწყობა გაზეთის ხმამაღლა კითხვა, საველე გაზეთების გამოშვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. როგორც ჩანს, კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ვ. ბერძენიშვილი) სათანადოდ არ აფასებს სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას მოსავლის აღების პერიოდში.

კარგად შრომობენ სოფელ თამარისის კოლმეურნეობაში. აქ 231 ჰექტარი პურეული აიღეს. ხაში შესული კოლმეურნეები ე. იაკობაშვილი და ა. ხაღულაშვილი, მოზარდები მ. აბრამიშვილი, ჟ. ბაქუზანოვი, ე. მწყერაშვილი და სხვები თავთავების აკრეფით ყოველდღიურად ასობით კილოგრამ პურს მატებენ კოლმეურნეობას.

დაწინაურდა სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების" ფართობებზე მომუშავე თამარისის მტს-ის კომბაინერი გ. სივსივაძე, რომელიც ყოველდღიურად 15-17 ჰექტარს მკის. ამავე მტს-ის კომბაინერები ძმები ჰასან და ჰუსეინ ყურბანოვები ორმაგად ასრულებენ მოსავლის აღების დღიურ დავალებას. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 320 ტონა პური ჩააბარა.

უნდა შევნიშნოთ, რომ თამარისის მტს-ის კომბაინერი ა. რიზა ყულიევი, რომელიც კოლმეურნეობა „კომუნიზმში" იღებს მოსავალს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხარისხს. მის მიერ აღებულ ფართობებში დიდია დანაკარგი.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში პურეული საკმაო რაოდენობით აიღეს, მაგრამ სახელმწიფოსათვის ჩაბარებას აჭიანურებენ. ასეა, მაგალითად, სოფელ აკაურთის და ქვეშის კოლმეურნეობებში.

სოფელ მუშევანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე მომკეს 60 ჰექტარი, მაგრამ ლეწვას აგვიანებენ. ასეეა სოფელ ბოლნისის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში.

საკვირველია, რატომ ურიგდებიან ამ მდგომარეობას პარტიის ბოლნისის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი?

**ვ. ოფეხია,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# ხალხთა სჯალინური მეგობრობა სსრ კავშირის ძალისა და ძლიერების წყაროა

### კონსულტაცია

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლიდა: პროლეტარიატი ისე ვერ განთავისუფლდება კაპიტალის ბატონობისაგან, თუ მან არ გაათავისუფლა ჩაგრული ხალხები. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი პირობა ის იყო, რომ მან ბრწყინვალედ განახორციელა მარქსიზმ-ლენინიზმის ეს სახელმძღვანელო მოთხოვნა.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო იმპერიალიზმი რუსეთში და ამგვარად გაათავისუფლა მუშათა კლასი კაპიტალისტების, ხოლო გლეხობა მემამულეების ბატონობისაგან. ამასთანავე რევოლუციამ გაათავისუფლა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ხალხი, რომლებიც კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის ორმაგ ბორკილს ატარებდნენ. ცხადია, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ და სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ ხელი შეუწყო განაპირა მხარეებში მცხოვრებ ხალხთა მშრომელი მასების თანაგრძნობამ და აქტიურმა მხარდაჭერამ.

ოქტომბრის რევოლუციამ განატეცა სხვა ერების მუშებისა და გლეხების კავშირი რუსეთის მუშებთან და გლეხებთან. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, გმირი საბჭოთა არმიის დახმარებით განაპირა მხარეების მუშებმა და გლეხებმა ბრძოლით დაამხეს თავიანთ ქვეყნებში იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბატონობა და აღმართეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროშა. ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას, წინად ჩაგრულ ხალხთა მუშებისა და გლეხების სოციალისტური მოძრაობის ერას, მოძრაობისა, რომელიც ინტერნაციონალიზმის დიადი დროშით წარმოვებს და მიმართულია ყოველგვარი კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

* * *

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ჯერ კიდევ ასი წლის წინათ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" წერდნენ: „ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთად დაეცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი".

მარქსიზმის ამ მეცნიერული დებულების განვითარებას და კონკრეტიზაციას საბჭოთა წყობილების პირობებში წარმოადგენს ხალხთა დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1921 წელს ბოლშევიკური პარტიის X ყრილობაზე წამოყენებული თეზისი: „თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად აცალკევებენ ადამიანებს, აღვივებენ ნაციონალურ შუღლს და აძლიერებენ ნაციონალურ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად აახლოებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ნაციონალურ შუღლს და სპობენ ნაციონალურ ჩაგვრას. კაპიტალიზმის არსებობა ნაციონალური ჩაგვრის გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია სოციალიზმის არსებობა ჩაგრული ერების განთავისუფლების გარეშე, ნაციონალური თავისუფლების გარეშე".

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება მიღწეულია იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსპობილ იქნა კაპიტალიზმი, მოსპობილ იქნენ ექსპლოატატორული კლასები, რომელთა დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა, შუღლი და მტრობა ეროვნებათა შორის. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება და სოციალისტური ერების განვითარება წარმოადგენს ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირების საფუძველს, ეროვნებათა ძმური თანამშრომლობის, ხალხთა სტალინური მეგობრობის საფუძველს.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება ჩვენში უზრუნველყოფილ იქნა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელმაც მოაწყო სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში ხალხთა ურთიერთდახმარება, განახორციელა ხალხთა ფაქტიური გათანაბრების ლენინურ-სტალინური პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, 1921 წელს თეზისებში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) X ყრილობისათვის, და სტატიაში „ნაციონალური საკითხის დაყენებისათვის" ამხანაგმა სტალინმა მიუთითა ეროვნებათა ფაქტიური გათანასწორების აუცილებლობაზე.

საბჭოთა ქვეყანამ ცარიზმისაგან მიღო მძიმე მემკვიდრეობა, რაც ეროვნებათა განვითარების დონის უთანაბრობით გამოიხატებოდა. ამ უთანასწორობის მოსპობა, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — ერთ-ორ წელიწადში შეუძლებელია. ზოგიერთები ძლიერ ჩამორჩნენ. მათ ვერ მოასწრეს კაპიტალისტური განვითარება, თანამედროვე მრეწველობის შექმნა, პროლეტარიატის შექმნა, კულტურის განვითარება, ბურჟუაზიულ ერებად ჩამოყალიბება. ეს ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა ამ ხალხებს საშუალებას უზღუდავდა გამოეყენებინათ მინიჭებული უფლებები: ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ „...საჭიროა „ნაციონალური თანასწორუფლებიანობიდან" გადავიდეთ ერების ფაქტიური გათანასწორების ზომებზე, პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაზე"...

ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ძალების უმაგალითო აღმავლობა, შემოქმედებითი ძალების არნახული აყვავება, ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ბოლშევიკების პარტიას უმადლიან განაპირა მხარეების ხალხები იმას, რომ თავი დააღწიეს ჩამორჩენილობას და, შეუდგნენ სოციალისტური ცხოვრების მშენებლობას, გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ისინი ახლა უხვად სარგებლობენ ყველა იმ სიკეთით, რაც თან მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინურმა პოლიტიკამ სახე უცვალა განაპირა მხარეებს, აამაღლა ყველა სხვა რესპუბლიკა მოწინავე ცენტრალური რესპუბლიკის დონემდე. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამ ღონისძიებებში **„...განსახიერდა ნაციონალურ რესპუბლიკათა ინდუსტრიალიზაციისა და მოწინავე რესპუბლიკების დონემდე მათი აყვანის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა".** (ლ. პ. ბერია).

საბჭოთა ქვეყანაში ეროვნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა დაკავშირებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ უდიდეს წარმატებებთან აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში, რაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე განხორციელდა. ეს მიღწევები დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა სტალინური მეგობრობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენენ.

* * *

კაცობრიობის ისტორიაში პირველად სსრ კავშირში წარმოიშვნენ და განვითარდნენ საზოგადოების ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი.

ასეთი მამოძრავებელი ძალები დამახასიათებელი თავისებურებაა მხოლოდ იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც სოციალისტური ერებისაგან შედგება. ეს თავისებურებანი სოციალისტურ საზოგადოებრივი ყოფიერების ბაზაზე, თვითონ იქცნენ უდიადეს მატერიალურ ძალად, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს დიდი სამამულო ომის დროს.

საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება, დაიმკვიდრა სოციალისტური ცხოვრება, რომელიც ყველა ერსა და ყოველ ადამიანს უსაზღვრო შესაძლებლობას აძლევს სავსებით გამოავლინოს თავისი ნიჭი, სრულად გაშალოს თავისი შემოქმედებითი ძალები.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა, რომელიც დღითიდღე ძლიერდება და მტკიცდება, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროს.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა ამხანაგ სტალინის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმის — სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმის განხორციელებას. 1950 წელს წარმატებით შესრულდა ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმა. 1951 წელი სსრ კავშირის სოციალისტური ეკონომიკის და კულტურის შემდგომი აღმავლობის წელი იყო. 1951 წლის სამრეწველო პროდუქციამ ერთიორად გადააჭარბა 1940 წლისას. მშვიდობიანი შრომის კოლოსალურ წარმატებებს შედეგად მოჰყვა ხალხის ფართო მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ამაღლება. ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესების ბაზაზე ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, როგორც საერთო-სახალხო მოძრაობა. ხალხთა მეგობრობა გამოხატულებას პოულობს ამ შეჯიბრებაში, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა სხვადასხვა ეროვნებათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მუშაკთა შორის. ეს ხელს უწყობს და უადრესად აჩქარებს მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას.

საბჭოთა ხალხების ურთიერთდახმარების დიდებული ტრადიცია განსაკუთრებით გამოვლინდა კომუნიზმის დიად სტალინურ ნაგებობათა მშენებლობებზე. გრანდიოზული ჰიდროტექნიკური მშენებლობანი ვოლგაზე, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე წარმოადგენენ ჩვენი ძალისა და ძლიერების, ჩვენი ხალხების მეგობრობისა და მშვიდობიანი შრომის უდიდეს მაგალითებს.

კომუნიზმის ეს გრანდიოზული მშენებლობანი ნამდვილად იქცა საერთო-სახალხო საქმედ. მათში პატრიოტული თავდადებით მონაწილეობს სსრ კავშირის ყველა ერი.

* * *

სსრ კავშირმა მთელი მსოფლიოს ხალხებს პირველმა უჩვენა ნაციონალური საკითხის სწორად გადაწყვეტის უდიდესი მაგალითი. ამ მაგალითს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. სსრ კავშირის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი გზას უნათებენ ყველა ხალხს, რომლებიც თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან, განუმტკიცებს მათ საკუთარი ძალებისადმი რწმენას, გამარჯვების რწმენას.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, როდესაც ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების შედეგად მსოფლიოში მოხდა ძალთა ახალი გადაჯგუფება სოციალიზმისა და დემოკრატიის სასარგებლოდ, იმპერიალიზმის საზიანოდ; როცა ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმი გაშმაგებით ამზადებს ახალ მტაცებლურ ომს და საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობიან ცხოვრებას.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი, როგორც ყოველთვის, მტკიცედ დგას თანამედროვეობის უდიდესი მოძრაობის—მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ავანგარდში. მშვიდობის მომხრეთა უდიდესი მოძრაობა გაჩაღებულია ხალხთა თანასწორობისა და ურთიერთმეგობრობის დროშით. ეს მოძრაობა გამოხატავს მილიონობით უბრალო ადამიანთა ინტერესებსა და მისწრაფებებს.

მშვიდობიანი შრომის პათოსით მოცული საბჭოთა ხალხი თვალსაჩინოებით უფრთხილდება და განუწყვეტლივ ავითარებს სოციალიზმის დიად მონაპოვარს — ხალხთა სტალინურ მეგობრობას. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით ჩვენი სოციალისტური სამშობლო კვლავ და კვლავ მოიპოვებს გრანდიოზულ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

**დოცენტი ლ. ებანოიძე.**

ისტორიას არ ახსოვს ხალხების ასეთი ერთსულოვნება და მონოლითობა, როგორიც გამოიჩინა საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

გრანდიოზული დიდი რუსი ხალხის როლი სამამულო ომში. მის გარშემო გაერთიანდა სსრ კავშირის ყველა ხალხი.

გმირმა რუსმა ხალხმა, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ამ ომში სამართლიანად დაიმსახურა იმის საერთაოაღიარება, რომ იგი ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს ხელმძღვანელ ძალას საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შორის.

დიდი რუსი ხალხისადმი ძმური სიყვარულით არის გამსჭვალული სსრ კავშირის ყველა ხალხი. ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა სტალინური მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი, წარმოშობილნი სოციალისტური საზოგადოებრივი ყოფიერების ბაზაზე, თვითონ იქცნენ უდიადეს მატერიალურ ძალად, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს დიდი სამამულო ომის დროს.

საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება, დაიმკვიდრა სოციალისტური ცხოვრება, რომელიც ყველა ერსა და ყოველ ადამიანს უსაზღვრო შესაძლებლობას აძლევს სავსებით გამოავლინოს თავისი ნიჭი, სრულად გაშალოს თავისი შემოქმედებითი ძალები.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა, რომელიც დღითიდღე ძლიერდება და მტკიცდება, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროს.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა ამხანაგ სტალინის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმის — სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმის განხორციელებას. 1950 წელს წარმატებით შესრულდა ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმა. 1951 წელი სსრ კავშირის სოციალისტური ეკონომიკის და კულტურის შემდგომი აღმავლობის წელი იყო. 1951 წლის სამრეწველო პროდუქციამ ერთიორად გადააჭარბა 1940 წლისას. მშვიდობიანი შრომის კოლოსალურ წარმატებებს შედეგად მოჰყვა ხალხის ფართო მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ამაღლება. ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესების ბაზაზე ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, როგორც საერთო-სახალხო მოძრაობა. ხალხთა მეგობრობა გამოხატულებას პოულობს ამ შეჯიბრებაში, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა სხვადასხვა ეროვნებათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მუშაკთა შორის. ეს ხელს უწყობს და უადრესად აჩქარებს მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას.

საბჭოთა ხალხების ურთიერთდახმარების დიდებული ტრადიცია განსაკუთრებით გამოვლინდა კომუნიზმის დიად სტალინურ ნაგებობათა მშენებლობებზე. გრანდიოზული ჰიდროტექნიკური მშენებლობანი ვოლგაზე, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე წარმოადგენენ ჩვენი ძალისა და ძლიერების, ჩვენი ხალხების მეგობრობისა და მშვიდობიანი შრომის უდიდეს მაგალითებს.

კომუნიზმის ეს გრანდიოზული მშენებლობანი ნამდვილად იქცა საერთო-სახალხო საქმედ. მათში პატრიოტული თავდადებით მონაწილეობს სსრ კავშირის ყველა ერი.

* * *

სსრ კავშირმა მთელი მსოფლიოს ხალხებს პირველმა უჩვენა ნაციონალური საკითხის სწორად გადაწყვეტის უდიდესი მაგალითი. ამ მაგალითს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. სსრ კავშირის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი გზას უნათებენ ყველა ხალხს, რომლებიც თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან, განუმტკიცებს მათ საკუთარი ძალებისადმი რწმენას, გამარჯვების რწმენას.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, როდესაც ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების შედეგად მსოფლიოში მოხდა ძალთა ახალი გადაჯგუფება სოციალიზმისა და დემოკრატიის სასარგებლოდ, იმპერიალიზმის საზიანოდ; როცა ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმი გაშმაგებით ამზადებს ახალ მტაცებლურ ომს და საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობიან ცხოვრებას.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი, როგორც ყოველთვის, მტკიცედ დგას თანამედროვეობის უდიდესი მოძრაობის—მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ავანგარდში. მშვიდობის მომხრეთა უდიდესი მოძრაობა გაჩაღებულია ხალხთა თანასწორობისა და ურთიერთმეგობრობის დროშით. ეს მოძრაობა გამოხატავს მილიონობით უბრალო ადამიანთა ინტერესებსა და მისწრაფებებს.

მშვიდობიანი შრომის პათოსით მოცული საბჭოთა ხალხი თვალსაჩინოებით უფრთხილდება და განუწყვეტლივ ავითარებს სოციალიზმის დიად მონაპოვარს — ხალხთა სტალინურ მეგობრობას. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით ჩვენი სოციალისტური სამშობლო კვლავ და კვლავ მოიპოვებს გრანდიოზულ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

**დოცენტი ლ. ებანოიძე.**

# ბოლო მოვუღოთ წუნს მუშაობაში, მივცეთ მომხმარებელს მაღალი ხარისხის ფანსაცმელი

შედგა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო საწარმოთა მუშაკების თათბირი, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე „გლავშვეისბიტის“ და „გლავტექსტილსბიტის“ რესპუბლიკური ბაზების წარმომადგენლები. სამკერვალო ნაწარმის ხარისხის შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ბ. ლელინმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, — თქვა მომხსენებელმა, — განიხილეს სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი და აღნიშნეს, რომ სამინისტრო და მისი სამკერვალო საწარმოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას. ამის შედეგად ჩვენი სამკერვალო ფაბრიკები და სახელოსნოები ბაზარს აწვდიან ძნელად გასასაღებელ და დაბალხარისხოვან პროდუქციას, რომელიც არ უპასუხებს მომხმარებელთა მოთხოვნილებას როგორც დამზადების ხარისხის, ისე ასორტიმენტის მიხედვით. შესაკერავად შერჩეული ქსოვილები ხშირად არ შეესაბამება ფაბრიკებისათვის მიცემულ მოდელებსა და ფასონებს. სამკერვალო ფაბრიკებში და „გლავტექსტილსბიტის“ გამსაღებელ ბაზებში ჩაწოლილია რამდენიმე მილიონი მანეთის ღირებულების მზა პროდუქცია.

მომხსენებელი შეეხო დაბალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვების მიზეზებს და აღნიშნა, რომ სამკერვალო ფაბრიკებში უხეშად არღვევენ კერვის ტექნოლოგიურ პროცესებს, შემოღებული არ არის საოპერაციოთაშორისო კონტროლი, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მზა პროდუქციის წუნდება, არ ავლენენ და სათანადოდ არ სჯიან წუნის მკეთებლებს.

მინისტრთა საბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებაში დასახულია სამკერვალო მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები. ჩვენი ამოცანაა ზუსტად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება, მკვეთრად გარდავქმნათ მუშაობა, უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სამკერვალო ფაბრიკა პირნათლად ასრულებდეს პროდუქციის გამოშვების გეგმებს ხარისხისა და ასორტიმენტის მიხედვით.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი მ. ქართველიშვილი. მომდინარე სამეურნეო წელი,—თქვა მან,—მოუმზადებლად დავიწყეთ და ცუდად ვმუშაობთ, ვერ ვასრულებთ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალებას. ამასთან ხშირია შემთხვევა, როცა „გლავშვეისბიტის“ სავაჭრო ბაზაში ჩვენს პროდუქციას იწუნებენ და გადასაკეთებლად უკანვე გვიბრუნებენ. ფაბრიკის მუშაობას დიდად აფერხებს ახალი საამქროს მშენებლობის გაჭიანურება. საამქროებში მუშებს ნორმალური სამუშაო პირობები არა აქვთ. საგამომჭრელო საამქროში დიდი სივიწროვეა. ცუდად განათებულ ოთახებში წარმოებს შესაკერავად მიღებული ქსოვილების, აგრეთვე მზა პროდუქციის შემოწმება და წუხდება.

არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის დიდი რაოდენობით გამოშვების ძირითადი მიზეზი ამხ. ქართველიშვილის აზრით ის არის, რომ სამკერვალო ფაბრიკაში ძალიან დაბალი კვალიფიკაციის მკერავები მუშაობენ. მანვე დააყენა საკითხი სტაციონალური კურსების გახსნის შესახებ მაღალკვალიფიციური მკერავების მოსამზადებლად.

მეორე სამკერვალო ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა ვ. მხითარიანმა ილაპარაკა ისეთი ტექნოლოგიური რეჟიმის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ყველა საწარმოო ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულებას.

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ე. შაპირომ გააკრიტიკა სამინისტრო და აღნიშნა, რომ არანორმალური დაგეგმვის გამო ძალიან ხშირად უხდებათ აგრეგატების გადაწყობა, რაც ცუდად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. სულ მცირე ხანში აგრეგატები 7-ჯერ გადააწყეს. ხშირად იღებენ დაბალხარისხოვან ქსოვილს. ამჟამად საწყობში 40.000 მეტრი დაწუნებული ქსოვილია ჩაწოლილი.

სამოდელო სახლის დირექტორმა ამხ. ი. სარიბეკოვმა ილაპარაკა საფეხბრიკო ლაბორატორიების ცუდ მუშაობაზე, იმაზე, რომ პირველ სამკერვალო ფაბრიკაში ლაბორატორია ფაქტიურად გადაქცეულია პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაში დამხმარე საამქროდ, აგრეთვე აღნიშნა, რომ მრუდთარგების დამზადებასა და ტექნიკური პირობების შემუშავებაში სამოდელო სახლი ხშირად უშვებს შეცდომებს, რასაც შედეგად მოსდევს ფაბრიკებში ძზა ნაწარმის გადაკეთების საჭიროება ან დაბალ ხარისხში გადაყვანა. ამხ. სარიბეკოვმა არაფერი თქვა იმაზე, რომ სამოდელო სახლი ცუდად ეხმარება ფაბრიკებს კერვის ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში, არადამაკმაყოფილებლად სწავლობს მომხმარებელთა მოთხოვნილებას და ნაკლებად ზრუნავს სათანადო მოდელების შესაქმნელად ამ მოთხოვნილების შესაბამისად.

„გლავშვეისბიტის“ რესპუბლიკური ბაზის მმართველმა ამხ. გ. აბუსერიძემ აღნიშნა, რომ სამკერვალო ფაბრიკები ყურადღებას არ აქცევენ მოსახლეობის მოთხოვნილებას, ჰკერავენ რაც მოხვდებათ და როგორც მოეხერხებათ, ოღონდ კი საერთო გეგმა შეასრულონ. ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა უხეშად არღვევს კერვის ტექნოლოგიურ რეჟიმს, არ იცავს დადგენილ სტანდარტებს. ამის შედეგია, რომ ზოგჯერ ფაბრიკის პროდუქციის 50 პროცენტი დაბალ ხარისხში გადაჰყავთ. „გლავტექსტილსბიტის“ სავაჭრო ბაზა სამკერვალო ფაბრიკებს შესაფერი ქსოვილებით არ ამარაგებს. ამის შედეგია, რომ პირველ სამკერვალო ფაბრიკაში მამაკაცის პერანგები ისეთი მოჩითულობის კრეპ-პარიზიენისაგან შეკერეს, რომელიც საპერანგედ არ ვარგა, მაგრამ კარგი იქნებოდა საკაბედ.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მეექვსე ფაბრიკის მთავარი ინჟინერი პ. ოსპიშევა, პირველი ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი შ. ჭოლაძე, „გლავტექსტილსბიტის“ რესპუბლიკური ბაზის მმართველის მოადგილე ი. მელიქოვი, მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. ი. ართმელაძე და სხვ.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მარტო თათბირის მოწვეევთ არ უნდა დაკმაყოფილდეს და საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელოს სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

## წიგნის თარო

### „სოციალისტური რეალიზმისათვის ლიტერატურაში“

„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა გიორგი ლომიძის წიგნი „სოციალისტური რეალიზმისათვის ლიტერატურაში“. წიგნში მოთავსებულია შემდეგი წერილები: „სოციალისტური რეალიზმისათვის ლიტერატურაში“, „ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხი ი. ბ. სტალინის მოძღვრების მიხედვით“, „ახლის გრძნობა“, „გმირი და სინამდვილე“, „ორი რომანი“.

წიგნის რედაქტორია მ. დუდუჩავა. წიგნი ლამაზად არის გამოცემული და ღირს 6 მანეთი და 15 კაპიკი.

### „ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა პაატა გუგუშვილის ნაშრომი „ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის“.

წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: „მეცნიერული ტერმინი და მთარგმნელობითი ხელოვნება“, „რუსულ-ქართულის ურთიერთობისათვის“, „ილია ჭავჭავაძე და მეცნიერული ტერმინოლოგია“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ რუსული გამოცემები“, „მეცნიერული თარგმნისათვის“, „წარმოება და მისგან წარმოებული ტერმინები“ და სხვ.

წიგნის რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი გ. ახვლედიანი. წიგნი შეიცავს 104 გვერდს და ღირს 4 მან.

### „მშვიდობა“

სამხრეთ ოსეთის სახელგამმა გამოსცა ვ. გელაშვილის ლექსების წიგნი „მშვიდობა“. წიგნში შეტანილია ავტორის მიერ უკანასკნელ წლებში დაწერილი 14 ლექსი და ორი პოემა.

წიგნი, რომლის რედაქტორია ა. ალიბეგაშვილი, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 2 მან. 75 კაპ.

## თბილისის სამხატვრო აკადემიის დიპლომანტები

ამ დღეებში თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოეწყო კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების საჯარო დაცვა. წელს სამხატვრო აკადემია დაამთავრა და სახელმწიფო საგამოცდო კომისიას სადიპლომო ნამუშევარი წარუდგინა ორმოცდაათმა სტუდენტმა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ (თავმჯდომარე—სურიკოვის სახელობის მოსკოვის სამხატვრო ინსტიტუტის ხატვის კათედრის გამგე, პროფესორი ა. მ. სოლოვიოვი) მაღალი ნიშნით შეაფასა ფერწერის განყოფილების კურსდამთავრებულთა—დ. გაბიტაშვილის, ვ. მდივნის, ე. მეძმარიაშვილის, გ. ურუმაშვილის სადიპლომო ნამუშევრები, გრაფიკის განყოფილების კურსდამთავრებულთა—ო. გორალეკიჩის, ე. თულაშვილის, თ. ყუბანეიშვილის, ქანდაკების განყოფილების კურსდამთავრებულთა—გ. კორძახიას, მ. ყიფიანის, ნ. გოსტენინას, ფ. მზარეულაშვილის, ლ. ფოფხაძის, კერამიკის განყოფილების კურსდამთავრებულთა—ა. ბარამიძის, ი. ბახტინის, ე. სედაშის, ს. ზაზაშვილის, შ. ციციშვილის ნამუშევრები. სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე არქიტექტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა — შ. გურგენიძის, ს. კაციტაძის სადიპლომო პროექტებს.

სადიპლომო ნამუშევართა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გ. კორძახიას მიერ შესრულებული ქანდაკება „ვ. მაიაკოვსკი“, მ. ყიფიანის ქანდაკება „სტალინური პრემიის ლაურეატის აგრონომ ს. მახათელაშვილის პორტრეტი“, ვ. მდივნის სურათი—„ჯაბუკი სტალინი გორშო“, ე. მეძმარიაშვილის კომპოზიცია „ხვალ დღესასწაულია“, თ. ყუბანეიშვილის მიერ შესრულებული გ. ლეონიძის პოემის „სტალინი. „ბავშვობა და ყრმობა“ ილუსტრაციები, კერამიკოს ა. ბარამიძის „საღვინე სერვიზი“, შ. ციციშვილის „დეკორაციული ვაზა“ და სხვ.

## ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრების გაუმჯობესება ჩინეთში

**შანხაი**, 23 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ჩანძიანჟიბაო“ იუწყება, რომ ხუნანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობს ეროვნულ უმცირესობათა, უმთავრესად, მიაოს ეროვნების 400 ათასზე მეტი წარმომადგენელი.

მძიმე და უუფლებო იყო ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრება განთავისუფლებამდე. თითო გლეხზე საშუალოდ მოდიოდა ერთ მუზე (1 მუ 0,06 ჰექტარს უდრის) ნაკლები მიწა. მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი ბოსტნეულით და ბალახის ფესვებით იკვებებოდა. ყველა მეურნეობის 50-ზე მეტ პროცენტს მარილის საყიდლადაც კი არ ჰყოფნიდა სახსრები. ადამიანები ძონძებში იყვნენ გახვეულნი. ტუნგოსა და ჩაის ზეთს, სამელნე გალს, ქერელს, თამბაქოსა და სხვა საქონელს გლეხებისაგან დაბალ ფასებში ყიდულობდნენ ვაჭრები. ამავე დროს სამრეწველო საქონელს გლეხები ძალიან ძვირად ყიდულობდნენ.

1949 წელს დასავლეთი ხუნანი განთავისუფლდა და მისმა მცხოვრებლებმა პირველად ამოისუნთქეს თავისუფლად. მათი ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება. ვითარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება და შინამრეწველობა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სახალხო მთავრობამ ამ რაიონის ეროვნულ უმცირესობებს გრძელვადიანი და დაუბრუნებელი სესხების სახით მისცა 9 მილიონზე მეტი ძინი ბრინჯი (ძინი უდრის 0,6 კილოგრამს) და 1.500 მილიონამდე იუანი, რომლითაც მათ შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მუშა პირუტყვი.

სახალხო ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით მიაოს ეროვნებით დასახლებულ რაიონებში სარწყავი მიწის ფართობი 15 პროცენტით გადიდდა. მინდვრების მოსავლიანობამ თითქმის 20 პროცენტით იმატა. მნიშვნელოვნად გაიზარდა შინაური პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. შექმნილია უკვე 10-ზე მეტი კოოპერატივი, რომელთა წევრების რიცხვი 10 ათასს აღემატება.

სწრაფად ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

## ბულგარეთ-ჩინეთის სავაჭრო შეთანხმება

**სოფია**, 23 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად ამა წლის 21 ივლისს სოფიაში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება 1952 წლისათვის საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ. შეთანხმება მტკიცე საფუძველს უქმნის ორივე ქვეყნის ეკონომიურ თანამშრომლობას.

ბულგარეთი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიაწვდის ჩარხებს, ელექტრომრეწველობის პროდუქციას, აზოტოვან სასუქებს, ქიმიკატებსა და სხვა საქონელს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ბულგარეთში შემოზიდავს ფერად ლითონებს, ბამბას, აბრეშუმს, აბრეშუმის ქსოვილებსა და სხვა საქონელს.

## პოლონეთის განთავისუფლების ეროვნული დღესასწაული

**ვარშავა**, 22 ივლისი. (საკდესი). პოლონელმა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნა 22 ივლისს განთავისუფლების ეროვნული დღესასწაული. ვარშავაში საღამოს ეროვნულ მორთულ გამარჯვების მოედანზე შეიკრიბა ასი ათასამდე დემონსტრანტი, უმთავრესად ახალგაზრდობა, და ამდენივე ახლომახლო ქუჩებსა და მოედნებზე. ესენი იყვნენ შრომის მოწინავეები, სახალხო პოლონეთის ახალგაზრდა მშენებლები, რომელნიც პოლონეთის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ. მოედანში მორთულია პოლონელი ხალხის ხელმძღვანელის ბოლესლავ ბერუტისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის პორტრეტებით.

მთავრობის ტრიბუნაზე არიან რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ. ბერუტი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სახელმწიფო საბჭოს წევრები და პოლონეთის მთავრობის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის მეთაურობით, აგრეთვე სეიმის დეპუტატები. ისინი მოვიდნენ უშუალოდ სეიმის სხდომების დარბაზიდან, სადაც ეს არის მიღებულ იქნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. დემონსტრანტები მქუხარე ოვაციით ხვდებიან ხალხის წარმომადგენლებს. ახალგაზრდობას შინაარსიანი მისასალმებელი სიტყვით მიმართა პრეზიდენტმა ბოლესლავ ბერუტმა.

— 8 წლის წინათ, თქვა ბერუტმა, — პოლონეთის მიწა-წყალზე, რომელიც იმ დროს ჰიტლერელ დამპყრობთა უღელქვეშ იყო, შემოვიდა მოძმე განმათავისუფლებელი საბჭოთა არმია. ამის მეოხებით ჩვენი ქვეყანა სავსებით განთავისუფლდა. დღესასწაულობს რა განთავისუფლების დღეს, ახლა პოლონელი ხალხი მხურვალე მადლობას და მეგობრობას უცხადებს საბჭოთა ხალხებს და მათს ბელადს, დიდ ი. ბ. სტალინს.

მოედანზე იწყება მქუხარე ოვაცია, გაისმის შეძახილები: „სტალინი!“, „ბერუტი!“.

ბოლესლავ ბერუტმა აღნიშნა სახალხო პოლონეთის ახალგაზრდა მშენებელთა შეკრების უდიდესი მნიშვნელობა და დაასახელა პოლონელი ახალგაზრდობის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანები: ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ცოდნის დაუფლებისათვის და უწინარეს ყოვლისა საზოგადოების განვითარების მოძღვრების დაუფლებისათვის.

„ჩვენი თაობის ამოცანა, თქვა ბერუტმა, — არის ერთხელ და სამუდამოდ აღმოვფხვრათ ადამიანთა დაყოფა კლასებად, ხოლო ამის ერთადერთი გზა ის არის, რომ სულ უფრო განვავითაროთ მეურნეობის განსაზოგადოებული ფორმები და ვაშენოთ სოციალიზმი“ (მქუხარე ტაში).

ჩვენი თაობის ამოცანა, თქვა შემდეგ ბერუტმა, არის ბრძოლა მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, კაპიტალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლებული ხალხების თანამშრომლობის განვითარებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ბერუტმა მოიწოდა ახალგაზრდობას ჩაინერგონ ხალხის �ლ[illegible] ... ეროვნული [illegible] ... აღმოფხვრას ძველი ბურჟუაზიული წყობილების შავბნელი ნაშთები. სახალხო პოლონეთმა, თქვა ბერუტმა, აღმოფხვრა მდიდრთა პრივილეგიები და ფართოდ გაუღო ახალგაზრდობას მეცნიერების, შრომის, ყოველმხრივი განვითარების კარი. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დღეს მიღებული კონსტიტუცია უზრუნველყოფს იმას, რაც ყველაზე ძვირფასია ყოველი პოლონელისათვის: თავისუფალ და დამოუკიდებელ აყვავებულ სამშობლოს, სოციალური სამართლიანობის სამშობლოს.

ეჭვი არ მეპარება, განაგრძო ბერუტმა, რომ თქვენ თქვენი მხურვალე მისწრაფებით აღაგზნებთ მილიონობით პოლონელ ახალგაზრდას, რომლებიც თქვენთან და მთელ ხალხთან ერთად იბრძოლებენ სოციალისტურ მშენებლობაში გამარჯვებათა მისაღწევად, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

დემონსტრანტები მართავენ მქუხარე ხანგრძლივ ოვაციას. გაისმის შეძახილები: „მშვიდობა!“, „ბერუტი!“, „სტალინი!“.

გაისმის ფანფართა ხმა. ტრიბუნაზეა პოლონეთის ახალგაზრდობის კავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე მატვინი.

იგი კითხულობს ახალგაზრდობის ფიცს თავისი სამშობლოსადმი. მოედანზე შეკრებილი 100 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი ერთსულოვნად სწევს მაღლა მარჯვენა ხელს და იმეორებს ფიცის სიტყვებს.

წარმოითქვა სამშობლოსადმი ფიცის უკანასკნელი სიტყვები და მოედანზე ჰაერში აფრინდა 25 ათასი მტრედი.

ლამაზ კოლონებად დაწყობილი 200 ათასი ახალგაზრდა დემონსტრანტი დაიძრა კონსტიტუციის მოედნისაკენ.

ზარბაზნების სალუტმა ამცნო დამსწრეთ დემონსტრანტთა კოლონების შესვლა მოედანზე. მათ მოაჭვთ ბოლესლავ ბერუტისა და ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტები. შემდეგ მოდიან პოლონელი პიონერები. მათ მოაჭვთ ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის, ჩინელი ხალხის ბელადის მაო ძე-დუნის, კორეელი ხალხის ბელადის კიმ ირ სენის, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ხელმძღვანელებისა და კომუნისტურ პარტიათა ხელმძღვანელების — მორის ტორეზის, ჭაკ დიუკლოს, პალმირო ტოლიატის პორტრეტები.

შემდეგ მოედანზე შემოდიან სტუდენტები, სილეზიის სახელგანთქმული ახალგაზრდა მაღაროელები, ლოძელი მქსოველები და სახალხო პოლონეთის სხვა ქალაქებისა და სოფლების მშრომელები. მათ მაღლა უჭირავთ მშვიდობის ლოზუნგები, მოწოდებანი ხალხთა მეგობრობისაკენ, შრომისა და სწავლის ემბლემები.

4 საათს გაგრძელდა ახალგაზრდობის სვლა. ასეულ ათასობით ვარშაველი მხურვალედ მიესალმა თავის სტუმრებს — სახალხო პოლონეთის ახალგაზრდა მშენებლებს, რომლებიც დედაქალაქში ჩამოვიდნენ პოლონეთის ყველა კუთხიდან.

## პოლონეთის სეიმმა ერთსულოვნად მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია

**ვარშავა**, 22 ივლისი. (საკდესი). დღეს პოლონეთის სეიმი მუშაობას გაგრძობდა.

ისტორიული სხდომის გახსნისას თავმჯდომარე, სეიმის მარშალი ვ. კოვალსკი მიესალმა სხდომაზე მოსულ რესპუბლიკის პრეზიდენტს და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს ბოლესლავ ბერუტს. დამსწრეებმა მქუხარე ოვაცია გამართეს ბოლესლავ ბერუტის პატივსაცემად.

შემდეგ თავმჯდომარემ განცხადებისათვის სიტყვა მისცა გლეხთა გაერთიანებული პარტიის წარმომადგენელს ოზგა-მიხალსკის.

ორატორმა ფართოდ გააშუქა მემამულურ-კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ პოლონელ გლეხთა ბრძოლის ისტორია და აღნიშნა, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ მაშინ დამთავრდა წარმატებით, როცა ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა მუშათა კლასი, ვისი სახითაც გლეხობამ ჰპოვა არა მარტო მოკავშირე განმათავისუფლებელ ბრძოლაში, არამედ ავანგარდული ძალაც.

ოზგა-მიხალსკიმ განაცხადა, რომ გლეხთა გაერთიანებული პარტიის დეპუტატთა ფრაქცია ხმას მისცემს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მიღებას.

შემდეგ სახზოგადოებრივ-კათოლიკური ფრაქციისაგან სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა იან ფრანკოვსკიმ.

ჩვენს თაობას, თქვა ორატორმა, წილად ხვდა ბედნიერება ცხოვრობდეს დიად ისტორიულ ეპოქაში, როცა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა პოლონეთი, ჩვენმა სამშობლომ კვლავ მიიღო თავისი ძველი საზღვრები ოდერსა და ნოისეზე და სწრაფად აღადგინა თავისი სახალხო მეურნეობა.

დიადი საქმეა მშენებლობის განხორციელება ხალხის საერთო ღონისძიებებით. ჩვენ მომავალშიც გვსურს ჩვენი თავდადებული შრომით ყველა პოლონელთან ერთად დავადასტუროთ, რომ პრინციპები, რომლებსაც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია შეიცავს, შეესაბამება პოლონელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

შემდეგ დემოკრატიული პარტიის დეპუტატთა ფრაქციის სახელით გამოვიდა დეპუტატი იან რაბანოვსკი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, თქვა რაბანოვსკიმ, გამოხატავს ყველა პატიოსანი, თავისი სამშობლოს მოყვარული პოლონელის ეროვნულ გაერთიანებას. ჩვენი კონსტიტუცია არის დამოუკიდებლობა ჩვენი სამშობლოსი, რომელიც ეყრდნობა ეროვნულ ფრონტს და პროგრესისა და დემოკრატიის ბანაკთან კავშირს. ეს არის მშვიდობის კონსტიტუცია.

დემოკრატიული პარტიის დეპუტატთა ფრაქცია, თქვა ორატორმა, ხმას მისცემს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მიღებას.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დეპუტატთა ფრაქციის წარმომადგენელმა დეპუტატმა ე. ოხაბმა განაცხადა: სეიმისათვის წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი ხალხის ნამდვილ ნებას გამოხატავს, ამ ნებას მშრომელი მასები გამოხატავენ კონკრეტული საქმეებით თავიანთი სახალხო სახელმწიფოს მშენებლობაში.

ჩვენი სახალხო კონსტიტუციის დამტკიცების სასიხარულო დღეს, თქვა ოხაბმა, ჩვენ უდიდესი და უგულითადესი მადლობით მივმართავთ დიდ საბჭოთა ხალხს, რომელმაც გენიალური სტალინის წინამძღოლობით გაანადგურა ჰიტლერული ფაშიზმი და გაათავისუფლა მრავალი ხალხი, მათ შორის ჩვენი პოლონელი ხალხიც, და ამით შესაძლებლობა მოგვცა შევქმნათ ახალი სახალხო-დემოკრატიული წყობილება.

ჩვენ ხმას მივცემთ ამ კონსტიტუციას.

დეპუტატთა ფრაქციების წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებანი, რის შემდეგაც თავმჯდომარემ კენჭი უყარა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს. პროექტი მიღებულ იქნა ერთსულოვნად.

დეპუტატები ფეხზე ადგნენ და მქუხარე ტაშით მიესალმნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ბოლესლავ ბერუტს.

გაისმის შეძახილი „გაუმარჯოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციას!“, „გაუმარჯოს პოლონეთის რესპუბლიკის დიდ მშენებელს პრეზიდენტ ბოლესლავ ბერუტს!“.

შემდეგ სეიმმა ერთსულოვნად მიიღო კანონი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის წესის შესახებ.

# ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საამქროებში

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში მეავტომობილეებმა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე დიდი ზეიმით გაგზავნეს ქუთაისის მარკის მძლავრი თვითდასაცლელი მანქანები „კაზ-585“, რომელთა ათვისებისა და დამზადებისათვის მომდინარე წლის დასაწყისიდანვე ენერგიული და შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა საწარმოში.

საამქროებში ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა ახალი თვითდასაცლელების გამოსაშვებად. ამ მანქანებზე სისტემატურად მოდის შეკვეთები კომუნიზმის დიადი მშენებლობებიდან.

შასის საამქროს მნიშვნელოვანი დავალება აქვს მიცემული თვითდასაცლელის დამზადების საქმეში. იგი უშვებს მანქანის კარდანულ ღერძს, რომელიც ოთხი კვანძისაგან შედგება. წარმოების ნოვატორებისა და სტახანოველების ენერგიული შრომით საამქროს კოლექტივი წარმატებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მან ივნისის გეგმის გადამეტებით დაამზადა კარდანის 10 ღერძი და გაუმჯობესა მისი ხარისხი. ამ წარმატების მოპოვებაში თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ სტახანოველ ამწყობს გ. მარდალეიშვილს, ხარატს შ. მანჯავიძეს, ამწყობს გ. ბარაბაძეს და სხვებს, რომლებიც ზუსტად და სწრაფად ჩარხავენ დეტალებს, რის შედეგად 200 პროცენტით და უფრო მეტად ასრულებენ გეგმებს.

თვითდასაცლელის გამოშვების პერიოდში სერიოზული ყურადღება მიექცა რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებას, ტექნოლოგმა გივი ბურჭულაძემ კარდანული ლილვის გაჩარხვისას შეიმუშავა ლითონის ჩქაროსნული ჭრის ხერხი, ხოლო ოსტატმა ვახტანგ გიორხელიძემ აამაღლა წარმოების კულტურა და მიაღწია ზეთის მნიშვნელოვან ეკონომიას.

ავტომატების საამქრო, რომელიც წარმატებით ინარჩუნებს საქარხნო გარდამავალ დროშას, თვითდასაცლელის 45 დეტალს ამზადებს. საამქროს ყველა მუშა სტახანოველია. ახალგაზრდა სტახანოველები ვ. ჯიშკარიანი, დ. ხაჭაპურიძე, ა. კიკნაველიძე, გ. ფირცხალაიშვილი, გ. მამფორია, ტ. იჩქიტიძე და სხვები მაღალხარისხოვანი შრომის მაგალითებს იძლევიან.

მოწინავეთა რიგებშია ძრავების საამქროც. როგორც სხვა საამქროებში, ისე აქაც ამჟამად ძირითადი ასორტიმენტი თვითდასაცლელი მანქანის დეტალებს დამზადებაა. თვითდასაცლელისათვის განკუთვნილი ცილინდრების გამოშვების ივნისის გეგმა საამქრომ 105 პროცენტით შეასრულა. ამ საამქროში განსაკუთრებით ისახელეს თავი ივანე ჩიხელიძემ, დურმიშხან გუგუციძემ, ოთარ წიგნაძემ, ვახტანგ ფახურიძემ და სხვებმა.

მთავარ საკონვეიერო საამქროში, სადაც იწყობა და იცდება თვითდასაცლელები, შეუნელებელი მუშაობაა. ამწყობი ზეინკლები ა. შალამბერიძე, გ. არნანია, ვ. ფანცხავა, მღებავი ვ. გურენკო და სხვები ახლა 300-400 პროცენტით ასრულებენ გეგმებს, თავდადებით მუშაობენ სულ მეტი და მეტი მანქანების გამოსაშვებად. ცნობილი სტახანოველი ამწყობი ბორის ვაშაკიძე, რომელმაც შარშან პირველი ქართული ავტომანქანა გადმოიყვანა კონვეიერიდან, კვლავ თავის საყვარელ უბანზეა. იგი ამჟამად სამმაგად ასრულებს კონვეიერზე თვითდასაცლელების აწყობის დავალებას. ბ. ვაშაკიძისა და მისი თანამოსაქმეების მამაცური შრომის შედეგად საამქრომ ივნისის გეგმა 105 პროცენტით გააღდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს და მისი უფროსის, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატის ა. კრიგერის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. მისი თაოსნობით თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა თვითდასაცლელის ძარა და ამწევი მექანიზმი.

თვითდასაცლელის გამოშვებაში ქუთაისელ მეავტომობილეებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ. მაგრამ ქარხანაში ჯერ კიდევ ბევრია ჩრდილოვანი მხარეები, ხოლო ზოგიერთი ასორტიმენტის მხრივ საწარმოს სერიოზული ჩამორჩენაც აქვს. ეს უმთავრესად გამოწვეულია ქარხნის ცალკეულ განყოფილებათა მიერ საამქროებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით. სუსტია დამხმარე საამქროების მუშაობაც.

ავტომატების საამქროს ნაყოფიერ შრომაში ხელს უშლის ტექნიკური მომარაგების განყოფილების (უფროსი ამხ. კოპალაძე) უხეირო მუშაობა. საამქროს ყოველთვიურად ათობით ტონა ლითონი სჭირდება, მაგრამ ივლისის პირველ რიცხვებში მას თითქმის ორი დღის გარდამავალი მარაგიც არა ჰქონდა.

ძრავის საამქროში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი რიტმულობა. ამის მთავარი მიზეზია სამსხმელო საამქრო, რომელიც ძრავის საამქროს თვის მხოლოდ 14-15 რიცხვებში აწოდებს სხმულს. მაგალითად, 1 ივლისს ნედლეულის -უქონლობის გამო ძრავის საამქრო ნახევრად გაჩერებული იყო.

მართალია, შასის საამქრო რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით გეგმას ასრულებს, მაგრამ ჩამორჩენაა ნომენკლატურისა და ასორტ

## მდგომარეობა ირანში

### კავამ-ეს-სალტანეს გადადგომის შემდეგ

**თეირანი**, 22 ივლისი. (საკდესი). ნახევრადოფიციალური ცნობებით, ქუჩაებში შეტაკებების დროს, რაც 21 ივლისს დღის პირველ ნახევარში თეირანის მრავალ პუნქტში ხდებოდა დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის, მოკლულ იქნა 30 და დაიჭრა 300-მდე კაცი. დღეს ეწყობა გუშინდელი შეტაკების მსხვერპლთა საჯაro დაკრძალვა.

21 ივლისს საღამოს (კავამ-ეს-სალტანეს გადადგომის შემდეგ) რადიოთი გამოსულმა ეროვნული ფრონტის მოღვაწეებმა ყაშანიმ, კანტაბადიმ, მოსადიყმა და მაკიმ კავამ-ეს-სალტანეს გადადგომა დაახასიათეს, როგორც „ეროვნული ფრონტის დიდი გამარჯვება“, ამასთან მადლობა გადაუხადეს თეირანისა და პროვინციის მოსახლეობას ეროვნული ფრონტის აქტიური მხარდაჭერისათვის და მოუწოდეს დაიცვას შემდეგში სიმშვიდე და წესრიგი.

დღეს თეირანში სიმშვიდეა. საცხებთი განახლდა ქალაქის ნორმალური ცხოვრება.

როგორც დამსწრენი, აგრეთვე გაზეთი „ჟურნალ დე ტეგერანი“ აღნიშნავენ, რომ გუშინ ქუჩის დემონსტრაციების დროს იყო დემონსტრანტებთან ჯარისკაცთა დაძმობილების ფაქტები. ჯერ კიდევ დილით გაავრცელეს ხმა, რომ გარდუვალია კავამ-ეს-სალტანეს გადადგომა. ამ ხმებმა მერყეობა შეიტანა პოლიციისა და არმიის მოქმედებაში. ქალაქის ქუჩებში იყო 30-მდე ტანკი. მაგრამ ტანკისტებს აქტიურად არ უმოქმედნიათ დემონსტრანტების წინააღმდეგ. დამსწრენი, აგრეთვე გაზეთები აღნიშნავენ, რომ კავამ-ეს-სალტანეს წინააღმდეგ და უცხოელ იმპერიალისტთა აგენტების წინააღმდეგ მიმართული ძირითადი ლოზუნგების გარდა, დემონსტრანტებში ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული შაჰის კარისა და თვით შაჰის წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგები, ეს ლოზუნგები ბევრ ადგილას ნახშირით ან ცარცით იყო დაწერილი ტროტუარებსა და ქვაფენილებზე.

## კავამ-ეს-სალტანე გაიქცა

**თეირანი**, 22 ივლისი. (საკდესი). თეირანის რადიო იუწყება:

მიღებული ცნობების თანახმად, კავამ-ეს-სალტანე წავიდა თეირანიდან იმ მიზნით, რომ გადავიდეს საზღვარზე. ხელისუფლებმა გასცეს განკარგულება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კავამის საზღვარზე გადასვლა შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ახლანდელი მთავრობის ნებართვით.

**თეირანი**, 22 ივლისი. (საკდესი). დღეს მეჯლისის შენობასთან თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა კაცმა, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ დაისჯაონ ისინი, ვისაც დანაშაული მიუძღვის დემონსტრანტების დახვრეტაში, რაც 21 ივლისს მოხდა.

## ირანის მეჯლისის სხდომა

### მოსადიკი კანდიდატია პრემიერ-მინისტრის პოსტზე

**თეირანი**, 22 ივლისი. (საკდესი). თეირანის რადიო იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევს გაიმართა ირანის მეჯლისის დახურული სხდომა, რომელიც მოწვეულ იქნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატის დასანიშნავად.

სხდომას დაესწრო 64 დეპუტატი. კენჭისყრის შედეგად 61 დეპუტატმა მხარი დაუჭირა მოსადიკის კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის პოსტზე. მეჯლისის თავმჯდომარეს, როგორც ჩვეულებრივ, ხმა არ მიუცია.

კენჭისყრის შემდეგ მეჯლისის თავმჯდომარე ამამი მოხსენებისათვის წარუდგა შაჰს.

## მოსადიკი ირანის პრემიერ-მინისტრი

**თეირანი**, 22 ივლისი. (საკდესი). თეირანის რადიო იუწყება, რომ დოქტორმა მოსადიკმა დღეს საღამოს გამოაქვეყნა მიმართვა ირანელი ხალხისადმი. მიმართვაში მოსადიკი აცხადებს, რომ შაჰის ბრძანებულებით მას დაეკალა ირანის ახალი მთავრობის შედგენა.

## ირანის ამბების გამო

**პარიზი**, 22 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება:

თეირანის 21 ივლისის სისხლისღვრის მსხვერპლთა 48 ცხედარი 22 ივლისს დილით დასაფლავეს ირანის მეჯლისის შენობაში.

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 22 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 22 ივლისს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე ჩვენი ჯარები ყველა ფრონტზე თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ცალკეულ უბნებზე მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის საბრძოლო მზვერავი რაზმების იერიშები.

დღეს საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინაყი, რომლებიც ბომბავდნენ ვონსანის რაიონს.

## საერთაშორისო კინოფესტივალზე კარლოვი ვარში

**პრაღა**, 22 ივლისი. (საკდესი). დამთავრდა კარლოვი ვარის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალის პირველი ნახევარი. საერთაშორისო ჟიურიმ, უცხოელ მუშაკთა დელეგაციებმა, ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის მრავალმა წარმომადგენელმა, რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ჯანმრთელობის კერებში ისვენებენ, უკვე ნახეს 20 სრულმეტრაჟიანი და 45-ზე მეტი დოკუმენტალური ფილმი.

ბევრი კინოსურათი მაღალი მხატვრული დონისებისაა. ჩეხოსლოვაკიის პრესა, უცხოელთა დელეგაციების წევრები, მაყურებლები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი თავისი ახალი კინოპროდუქციით, ისევე როგორც კარლოვი ვარის წარსულ კინოფესტივალებზე, გვიჩვენებს თავისი კინოხელოვნების უბადლო დონეს, კინოხელოვნებისა, რომელიც ემსახურება მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის საქმეს.

ფილმმა „დაუვიწყარი 1919 წელი“ ღრმა იდეურობით, ისტორიული ამბების მართალი ასახვით და ყველა ქვეყნის მშრომელთა საყვარელი ბელადის **ი. ბ.** სტალინის სახის საუცხოო ჩვენებით წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა ფესტივალის მონაწილეებზე. დიდი წარმატება ჰქონდა აგრეთვე საბჭოთა დოკუმენტალურ ფილმებს: „ჩვენ მშვიდობას მოვითხოვთ“ (შექმნილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინომუშაკებთან ერთად), „მოსკოვის მშენებლობებზე“, „საბჭოთა ვეშაპთმონადირენი“, „საბჭოთა ტაჯიკეთი“ და მულტიპლიკაციური ფილმი „ტყის მოგზაურები“. მაყურებლები მქუხარე ტაშით გამოთქვამდნენ აღტაცებას საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკთა შესანიშნავი ოსტატობის გამო.

გულთბილად შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფილმს „წითელი დროშა მწვანე კლდეზე“, რომელიც მაყურებლებმა შეაფასეს, როგორც ახალი ბრწყინვალე ნაწარმოები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო ფილმი „პირველი დღეები“. ფილმი ერთი ქარხნის აღდგენის მაგალითით გვიჩვენებს სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების პერიოდის ამბებს პოლონეთში, რომელიც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ჰიტლერელი ოკუპანტებისგან. მაყურებელმა ინტერესით ნახა ჩეხოსლოვაკური მხატვრულ-ბიოგრაფიული ფილმი „დიდი თავგადასავალი“ — შესანიშნავი ჩეხი პატრიოტისა და მოგზაურის ემილ გოლუბის შესახებ. კინოორგანიზაცია „დეფას“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ფერადი მხატვრული ფილმი „ქალის ბედი“.

უკანასკნელ რამდენიმე დღეში მაყურებელმა ნახა აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული კინომუშაკთა მთელი რიგი ფილმები: იტალიური—„ყურადღება, ბანდიტები!“, ინდონეზიური—„ხეიბარი“, ინდური—„ბაბლა“ და ავსტრალიის კინემატოგრაფიის ფილმი „კაპიტანი სანდერბოლტ“.

## ოლიმპიურ ასპარეზობაზე

### საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ბრწყინვალე გამარჯვება

### საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მიიღეს 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი

**ჰელსინკი**, 22 ივლისი. (საკდესი). დღეს ცნობილი გახდა ტანვარჯიშში ვაჟთა ოლიმპიური პირველობის ოფიციალური შედეგები.

გუნდურ შეჯიბრებაში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის გუნდმა, რომელმაც ოლიმპიურ თორმეტეტიდში საერთო ანგარიშით 574,40 ბალი მოაგროვა, მეორე ადგილზეა შვეიცარია—567,55 ბალი, მესამეზე—ფინეთი 564,25 ბალი, მეოთხეზე — დასავლეთი გერმანია—561,25 ბალი, მეხუთეზე — იაპონია 556,85 ბალი, მეექვსე და მეშვიდე ადგილზე არიან უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეები. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა გუნდმა მერვე ადგილი დაიკავა.

აბსოლუტური ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში ვაჟთა შორის გახდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვიქტორ ჩუკარინი—115,70 ბალი, მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე გრანტ შაგინიანი—114,95 ბალი და მესამეზე—შტალდერი (შვეიცარია)—114,75 ბალი. საბჭოთა ტანმოვარჯიშე მურატოვმა დაიკავა მეოთხე ადგილი. პირველ ათეულში შედის 6 საბჭოთა ტანმოვარჯიშე.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მთელი რიგი საპრიზო ადგილები დაიკავეს აგრეთვე ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშობაში. რგოლებზე ვარჯიშობაში პირველ და მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები შაგინიანი და ჩუკარინი. ამ სახეობის შეჯიბრებაში ხუთი პირველი ადგილიდან ოთხი საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეებს ეკუთვნის.

საყრდენით ხტომაში პირველი ადგილი ეკუთვნის ჩუკარინს. მასვე ეკუთვნის მეორე ადგილი ორძელზე ვარჯიშობაში. ვიქტორ ჩუკარინმა პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე ტაიჭზე ვარჯიშობაში. საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს კოროლკოვსა და შაგინიანს ტაიჭზე ვარჯიშობაში მეორე და მესამე ადგილი უკავიათ. ამ სახეობის შეჯიბრებაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა ოთხი პირველი ადგილი დაიკავეს.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეებმა საერთო ანგარიშით მიიღეს ხუთი ოქროს მედალი, ოთხი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

დღეს დაიწყო შეჯიბრება ტანვარჯიშში ქალთა შორის.

გრძელდება შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში.

წარმატებით გამოდის მჩატე წონაში საბჭოთა მოჭიდავე მამედეკოვი, რომელსაც აჭამდე არც ერთი საჯარიმო ქული არა აქვს. დღეს მამედბეკოვმა 10 წუთსა და 40 წამში წააქცია ბორდერსი (ამერიკის შეერთებული შტატები). მორიგი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა: საიადოვმა მოუგო პირს (ამერიკის შეერთებული შტატები), დადაშევმა — ვიეს (საფრანგეთი), ალტირიანმა—ვსტრანდს (დანია). საბჭოთა მოჭიდავე ცეგმაკურიძემ 4 წუთსა და 55 წამში წააქცია ჰუსეინი (ეგვიპტე).

დღეს დილით გაიმართა ფეხბურთში მეოთხედფინალური შეჯიბრების მონაწილეთა წილისყრა.

23 ივლისს ჰელსინკში ავსტრიის ფეხბურთელები შეხვდებიან შვეიცის ფეხბურთელებს. 24 ივლისს ბრაზილიის გუნდი თამაშობს დასავლეთ გერმანიის გუნდის წინააღმდეგ. ამავე დღეს ტურკეთში ერთმანეთს შეხვდებიან უნგრეთისა და თურქეთის გუნდები. 25 ივლისს ჰელსინკში იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის დღეანდელ შეხვედრაში გამარჯვებული ეთამაშება დანიის ფეხბურთელებს.

დღეს გაიმართა კალათბურთელთა შეჯიბრების მონაწილე გუნდების წილისყრა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს საერთო ანგარიშით 16 გუნდი, რომლებიც დაყოფილია 4 ჯგუფად: ამერიკის შეერთებული შტატები, ურუგვაი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი (ქვეყნების პირველი ჯგუფი), საბჭოთა კავშირი, მექსიკა, ფინეთი და ბულგარეთი (ქვეყნების მეორე ჯგუფი), არგენტინა, ბრაზილია, კანადა და ფილიპინები (ქვეყნების მესამე ჯგუფი). მეოთხე ჯგუფში შედიან საფრანგეთი, ჩილე, კუბა და ეგვიპტე.

შეჯიბრება იწყება 25 ივლისს და ჯერ იწრმოებს აღნიშნულ ჯგუფებში. გამარჯვებულნი ნახევარფინალში გადიან.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს განცხადება

**ნიუ-იორკი**, 22 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ 13 აზიური და არაბული ქვეყნის თხოვნამ ტუნისის საკითხის განსახილველად გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევის შესახებ ხმების საჭირო უმრავლესობა ვერ შეაგროვა და უარყოფილ იქნა. გარდა 13 არაბული და აზიური ქვეყნისა, გენერალური ასამბლეის მოწვევას მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირმა, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ბოლივიამ, სალვადორმა, გვატემალამ, იუგოსლავიამ, აგრეთვე გომინდანელმა.

ამ თხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგ აზრი გამოთქვეს შემდეგი 27 ქვეყნის: შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ბელგიის, ბრაზილიის, კანადის, კოლუმბიის, კოსტა-რიკის, კუბის, დანიის, ეკვადორის, საბერძნეთის, ჰაიტის, ჰონდურასის, ისლანდიის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, ახალი ზელანდიის, ნიკარაგუას, ნორვეგიის, პარაგვაის, პერუს, შვეციის, თურქეთის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა და ურუგვაის მთავრობებმა.

ეთიოპიისა და სიამის მთავრობებმა თავი შეიკავეს.

## კანადაში ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა

**ოტავა**, 22 ივლისი. (საკდესი). ცხოვრების ღირებულების ზრდასთან და მეწარმეთა იმ ცდებთან დაკავშირებით, რომ ეკონომიური სიძნელეები მოეგვარებინათ მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერების გზით, გაუარესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია საგაფიცო მოძრაობის ზრდა კანადაში.

კანადიენ პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის მეშადურთა და მომიჯნავე პროფესიების მუშათა პროფკავშირმა გამოაცხადა, რომ პროვინციის 6.000 მეშადურმა გაფიცვა დაიწყო, რათა მხარი დაუჭიროს მათს მოთხოვნას დაჭერილი თევზისათვის ანაზღაურების გადიდების შესახებ. მეწარმეები დაეინებით მოითხოვენ — შემცირდეს ანაზღაურება მეტი წილი სახის თევზისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ თევზის გასაღება ძნელია და შარშანდელი დიდი მარაგი ჯერ კიდევ გაუსაღებელია.

გაფიცვა იწვევს თევზის კონსერვის ქარხნების და მათთან დაკავშირებული სხვა დარგების მუშაობის შეწყვეტას.

მეორე თვეა გრძელდება ბრიტანეთის კოლუმბიის 32.000 ტყის მჭრელის გაფიცვა, რომელნიც ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. გაფიცვის გამო მუშაობა უკვე შეწყდა სატყეო მრეწველობასთან დაკავშირებულ ბევრ დარგში.

გარდა ტყის მჭრელებისა, 9 ივნისიდან ბრიტანეთის კოლუმბიაში გაფიცულია აგრეთვე ვანკუვერის 3.000 ხუთრო და დურგალი. გაფიცვის შედეგად მონათესავე პროფესიების 5.000 მუშამ შეწყვიტა მუშაობა.

გაზეთი „კანადიენ ტრიბუნი“ იუწყება, რომ მოსალოდნელია ონტარიოს და კვებეკის პროვინციებში კანადის ფოლადის კომპანიის 10.000 მუშის გაფიცვა. მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და კანადის ფოლადის მრეწველობის ნაციონალიზაციას. ისინი აგრეთვე მოითხოვენ, რომ კანადა თვითონ ეწეოდეს თავისი რკინის მადნის მარაგის ექსპლოატაციას.

125.000 რკინიგზელის განზრახული აქვს გაფიცვა გამოაცხადოს, თუ არ დაკმაყოფილეს მათი მოთხოვნა ხელფასის გადიდებისა და ცხოვრების ღირებულების ინდექსის მიხედვით ხელფასის დაწესების შესახებ.

ხელფასის გადიდებას მოითხოვენ და ამ მოთხოვნების შესრულებისათვის გაფიცვებს აცხადებენ მთელი კანადის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მრავალ სხვა საწარმოში.

## შედგა ეგვიპტის ახალი მთავრობა

**პარიზი**, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ალექსანდრიიდან (ეგვიპტის მეფისა და მთავრობის დაწესებულებათა საზაფხულო რეზიდენცია — რედ.) იუწყება, ჰილალი-ფაშამ შეადგინა მინისტრთა ახალი კაბინეტი, რომელშიც მან პრემიერ-მინისტრის პოსტი დიკავა.

ქუთაისი. წერეთლის ქუჩის ხედი.

ფოტო ი. საკუნისა.

## დამთავრდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა და 20 ივლისს დამთავრდა მოსწავლე სპორტსმენთა V რესპუბლიკური სპარტაკიადა.

თბილისში მოსწავლე სპორტსმენთა გუნდები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ტანვარჯიშში, ცურვასა და ჩოგბურთში. სუხუმში ტარდებოდა შეჯიბრება ფრენბურთსა და კალათბურთში, ბათუმში კი—ჭადრაკსა და მძლეოსნობაში.

სპარტაკიადაში მონაწილეობდა სულ 6 გუნდი, მათ შორის თბილისის ოლქისა—2, ქუთაისის ოლქისა—1, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკისა—1, აჭარის ასსრ რესპუბლიკისა—1 და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა — 1 გუნდი. თბილისის ოლქის მეორე გუნდი მონაწილეობდა შეჯიბრების გარეშე.

სპარტაკიადაზე სპორტის ყველა სახეობაში საერთო პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის ოლქის მოსწავლე სპორტსმენთა კოლექტივმა, მეორე ადგილი — აფხაზეთის ასსრ, მესამე — ქუთაისის ოლქის, მეოთხე — აჭარის ასსრ და მეხუთე საერთო ადგილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსწავლე სპორტსმენთა კოლექტივმა.

ათასზე მეტმა მოსწავლე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა მეხუთე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. შარშანდელთან შედარებით წელს მოზარდმა სპორტსმენებმა უკეთესი მაჩვენებლები—ოსტატობის ზრდა, გამძლეობა, თამაშისა და შესრულების მაღალი კლასი გვიჩვენეს. მოსწავლე სპორტსმენებმა ცურვაში ამ სპარტაკიადაზე 5 რესპუბლიკური რეკორდი დამყარეს, მძლეოსნობაში — 4; ცურვაში მეორე თანრიგი მოიპოვა 41 მოსწავლემ, მესამე თანრიგი — 63-მა. სპორტის სხვა სახეებშიც ბევრმა მოსწავლე სპორტსმენმა აიმაღლა ადრე მოპოვებული თანრიგი. მაგალითად, სპორტულ ტანვარჯიშში პირველთანრიგოსანი გახდა 23 მოსწავლე, მეორეთანრიგოსანი—31, მხატვრულ ტანვარჯიშში პირველი თანრიგი მიიღო ექვსმა, მეორე—თერთმეტმა, მესამე—ოთხმა მოსწავლემ. საერთოდ, ტანვარჯიშის სხვადასხვა სახეში (სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში და აკრობატიკა) პირველი თანრიგი მოიპოვა სპარტაკიადის 35 მონაწილემ, მეორე თანრიგი 60, ხოლო მესამე თანრიგი — 13 მოსწავლე სპორტსმენმა.

სპარტაკიადაზე გამარჯვებული გუნდები დაჯილდოებულ იქნენ ალმებით და გარდამავალი თასით, ხოლო ცალკეული მოსწავლე სპორტსმენები—დიპლომებით და საჩუქრებით.

ჩვენი რესპუბლიკის რჩეული მოსწავლე-სპორტსმენები ამჟამად მონაწილეობენ შეჯიბრებებში საკავშირო პირველობაზე. სპარტაკიადაში გამარჯვებული თბილისის ოლქის მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა გუნდი უკვე მონაწილეობს საკავშირო პირველობისათვის ბრძოლაში, რომელიც 19 ივლისიდან მიმდინარეობს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში. როსტოვში 19 ივლისს დაიწყო შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე ჭადრაკში. სპორტის სხვადასხვა სახეში საკავშირო პირველობაზე შეჯიბრებები ივლის-აგვისტოში მოიწყობა აგრეთვე ლენინგრადში, მოსკოვში, ასტრახანში, ძაუჯიყაუში.

## საქართველოს არქიტექტორები სომხეთში

**ერევანი.** („კომუნისტის“ კორ.). რამდენიმე ხნის წინათ თბილისიდან ერევანში ჩამოვიდა საქართველოს არქიტექტორთა ჯგუფი 42 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ბ. ლორთქიფანიძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მდივანი მ. ქოჩაკიძე, ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი ზ. ქურდიანი, სტალინური პრემიის ლაურეატები მ. მელია, კ. ჩხეიძე და სხვ.

ქართველი არქიტექტორები ჩამოვიდნენ იმ მიზნით, რათა შემოქმედებითი თანამშრომლობა გააჩაღონ მოძმე სომხეთის არქიტექტორებთან, აგრეთვე იმ მიზნით, რომ გაცნობიდნენ სომხეთის დედაქალაქის ახალ მშენებლობებს, ქალაქის ცალკე უბნებისა და კვარტალების არქიტექტურული გაფორმების საკითხთა გადაწყვეტის შედეგებს, სომხეთის არქიტექტურულ ძეგლებს.

ერევნიდან სტუმრები გაემგზავრნენ ეჩმიაძინში, სადაც დაცულია სომხეთის უძველესი ხუროთმოძღვრების მრავალი შესანიშნავი ძეგლი.

სომხეთის არქიტექტორებმა თავიანთ ქართველ თანამოძმეებს მხურვალე შეხვედრა მოუწყეს და დახმარება გაუწიეს სომხეთის ახალი და ძველი არქიტექტურული ძეგლების დათვალიერებაში.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — „პრავდის“ 23/VII მოწოწილი — საბჭოთა ეკონომიკა იზრდება და წარმატებებს აღწევს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის მეორე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა.

დღეს ვოლგა-დონზე. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

დავით გურამიშვილის გარდაცვალების 160 წლისთავისათვის.

**მეორე გვერდი** — საერთო სათაურით „პური საყვარელ სამშობლოს“ წერილები: გ. ბონდარენკო — კომბაინებთან და კალოებზე. მ. მაზანაშვილი — სიზუსტე და ორგანიზებულობა. პურის მკის პირველი დღეები მცხეთის რაიონში. პური სახელმწიფოს.

**მესამე გვერდი** — ფელეტონი — ი. მუხაძე— ფუტკარი ფოსტაში. საჩივრები და პასუხები.

ბ. ფურცხვანიძე — ყოველმხრივ განვამტკიცოთ საბჭოთა კანონიერება.

პოლონეთის სეიმმა ერთსულოვნად მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები.

რედაქტორი ბ. მერკვილაძე

**რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში** 1952-1953 სასწავლო წელს მიღების წესები.

მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. ფიზიკა-მათემატიკის, სპეციალობანი: ა) მათემატიკის—ქართული განყოფილება, ბ) ფიზიკის—ქართული განყოფილება, 2. ბუნებისმეტყველების, 3. გეოგრაფიის, 4. ისტორიის, 5. ენისა და ლიტერატურის, სპეციალობანი: ა) ქართული ენისა და ლიტერატურის—ქართული განყოფილება, ბ) რუსული ენისა და ლიტერატურის—რუსული განყოფილება, 6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის. სწავლის ვადა ყველა ფაკულტეტზე 4 წელია.

უგამოცდოდ მიიღებიან: ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, პედსასწავლებლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, რომლებიც მოხვედრილი არიან გამოშვების 5 %-ში.

ყველა დანარჩენი საშუალო და სპეციალური სკოლის კურსდამთავრებული, აგრეთვე სამწლიანი სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები აბარებენ მისაღებ გამოცდებს: ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში. გეოგრაფიის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), გეოგრაფიასა და სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, გეოგრაფიასა და ერთერთ უცხო ენაში. ისტორიის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასა და გეოგრაფიაში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიასა და ფიზიკურ აღზრდაში.

**შენიშვნა:** ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ტექნიკუმები ან მათთან გათანაბრებული სპეციალური სასწავლებლები, დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე იმ შემთხვევაში, თუ მათ გავლილი აქვთ 3-წლიანი საწარმოო სტაჟი სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

განცხადებების მიღება უკვე წარმოებს და გაგრძელდება 30 ივლისამდე. შემსვლელმა დირექტორის სახელზე უნდა შეიტანოს განცხადება (ფაკულტეტის, სპეციალობის და განყოფილების მითითებით) და შემდეგი საბუთები: საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), ავტობიოგრაფია, შემოწმებული სამი ფოტოსურათი (3×4 სმ.), გადაღებული უქუდოდ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, ნინოშვილის ქ. 35, ტელ. 89.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს **თბილისის მე-4 საფერშლო სკოლა** იწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1-ლ კურსზე 1952-53 სასწავლო წლისათვის.

**სკოლა ამზადებს:** ფერშლებს—სანიტარული ექიმების და ექიმი ეპიდემიოლოგების თანაშემწეებს. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. სკოლაში მიიღებიან მოქალაქენი 14-30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა. 1951-52 წლებში 8-კლასდამთავრებული ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 აგვისტომდე არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: სსრკ კონსტიტუცია, რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), მათემატიკა (წერა, ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი). სკოლაში შემსვლელს სკოლის დირექტორის სახელზე შეაქვს განცხადება და შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, შემოწმებული სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ. (გადაღებული უქუდოდ), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. განცხადების მიღება იწარმოებს სკოლის კანცელარიაში 1 აგვისტომდე საღამოს 5-დან 10 საათამდე.

სკოლაში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. გამოშვების 5%-ში მოხვედრილი კურსდამთავრებული ფრიადოსნები უგამოცდოდ მიიღებიან უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლა იწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა იწარმოებს საღამოს 5 საათიდან.

სკოლის მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. № 25. ტელეფონი № 3-55-91.

**საბჭოთა ვაჭრობის ბათუმის ტექნიკუმი** იღებს მოსწავლეებს საბუხჰალტრო, საპრეწველო და სასურსათო საქონელმცოდნეობის განყოფილებებზე. ტექნიკუმი 3-წლიანია და ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ბუხჰალტრებსა და საქონელმცოდნეებს. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14 წლიდან 30 წლამდე ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა ან გამოსული არიან მე-9, მე-10 კლასიდან. ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ. განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირადღისა 1 აგვისტომდე, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ტექნიკუმის კანცელარიაში (ქ. ბათუმი, ჯაფარიძის ქ. 21). განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), რუსული ენა